

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

სოციალური მომსახურების სააგენტო

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

სააგენტოს დირექტორის 2012 წლის 20 მარტის N04-160/ო ბრძანებაში ცვლილებების შეტანის
თაობაზე

“2012 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2012 წლის 15 მარტის N92 დადგენილებაში 2012 წლის 31 აგვისტოს N352 დადგენილებით შეტანილი ცვლილების გათვალისწინებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის N190/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების მე-4 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. „2012 წლის ჯანმრთელობის დაცვის ვაუჩერული პროგრამებით გათვალისწინებული მომსახურების მიმწოდებელთა რეგისტრაციასთან დაკავშირებული ღონისძიებებისა და გარდამავალ პერიოდში ამ კუთხით დასარეგულირებელი ზოგიერთი საკითხის თაობაზე“ სააგენტოს 2012 წლის 20 მარტის N04-160/ო ბრძანების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებული N1 დანართი („2012 წლის ჯანმრთელობის დაცვის ვაუჩერული პროგრამებით გათვალისწინებული მომსახურების მიმწოდებლად რეგისტრაციის თაობაზე განაცხადის ფორმა“) შეიცვალოს თანდართული რედაქციით (დანართი N1).
2. საქართველოს მთავრობის 2011 წლის 27 დეკემბრის N492 დადგენილების საფუძველზე გაგრძელებული 2011 წლის სახელმწიფო პროგრამების მიმწოდებლებმა, 2012 წლის 1 სექტემბრიდან ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამებში მონაწილეობის სურვილის შემთხვევაში, დადგენილი წესით, უნდა გაიარონ რეგისტრაცია ამ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული განაცხადის საფუძველზე.
3. საქართველოს მთავრობის 2012 წლის 15 მარტის N92 დადგენილებით დამტკიცებული 2012 წლის ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების ის მიმწოდებლები, რომლებსაც სურთ ასევე 2012 წლის 1 სექტემბრიდან დამატებული პროგრამ(ებ)ით/კომპონენტ(ებ)ით გათვალისწინებული

მომსახურების მიწოდება, ამ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებულ განაცხადს ავსებენ მხოლოდ შესაბამისი დამატებული პროგრამის/კომპონენტის ნაწილში „დიახ“ ველის მონიშვნით. ამ შემთხვევაში, მათ მიერ 2012 წლის 1 სექტემბრამდე მოწოდებული პროგრამ(ებ)ის/კომპონენტ(ებ)ის ველი, გამონაკლისის სახით, რჩება შეუვსებელი.

4. ამ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული განაცხადის ფორმა გამოყენებულ იქნეს საქართველოს მთავრობის 2012 წლის 31 აგვისტოს N352 დადგენილების ამოქმედების დღიდან.

5. სააგენტოს ადმინისტრაციამ (გ. გოგოლაძე) უზრუნველყოს ამ ბრძანების და მისი დანართის სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე (<http://ssa.gov.ge>) დაუყოვნებლივ გამოქვეყნება.

6. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტო, სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორი



რამაზ სულამანიძე



„2012 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“
საქართველოს მთავრობის 2012 წლის 15 მარტის N92 დადგენილებით განსაზღვრულ
პროგრამაში (კომპონენტში) მომსახურების (საქონლის) მიმწოდებლად რეგისტრაციის თაობაზე

(ფორმა ივსება დადგენილი წესის შესაბამისად)

სამედიცინო დაწესებულების რეკვიზიტები

მითითებული მონაცემები გამოყენებული იქნება პროგრამის ფარგლებში ოფიციალური ურთიერთობებისათვის

დაწესებულების სრული დასახელება		საიდენტიფიკაციო კოდი:	
იურიდიული მისამართი			
ქალაქი/მუნიციპალიტეტი:		მისამართი:	
ფაქტიური (მომსახურების მიწოდების) მისამართი			
ქალაქი/მუნიციპალიტეტი:		მისამართი:	
საკონტაქტო ტელეფონები		ელექტრონული ფოსტა	
საბანკო რეკვიზიტები			
საბანკო დაწესებულების დასახელება:			
ბანკის კოდი:		ანგარიშის ნომერი:	

ვადასტურებთ განაცხადში ჩემს მიერ დაფიქსირებული მონაცემების სისწორეს, მათ შორის სათანადო წესით აღნიშნული პროგრამ(ებ)ის (კომპონენტის) ფარგლებში შესაბამისი სამედიცინო მომსახურების მიწოდების სურვილს და გამოვთქვამთ მზადყოფნას შევასრულოთ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, მათ შორის „2012 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 15 მარტის N92 დადგენილებითა და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტით გათვალისწინებული შესაბამისი ვალდებულებები, რასაც გავეცანი და ვადასტურებ ხელმოწერით.

სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელი	
სახელი, გვარი:	პირადი ნომერი:
პირადი ტელეფონის ნომერი (მობილური)	
პირადი ელექტრონული ფოსტა	

ხელმოწერა

თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)

სამედიცინო
დაწესებულების
ბეჭედი

მე _____, წინამდებარე განაცხადებაზე ხელმოწერით ვადასტურებ, ორგანიზაციის სახელით, რომ სრულად ვიცნობთ შესაბამისი სახელმწიფო პროგრამ(ებ)ით/კომპონენტ(ებ)ით გათვალისწინებული სამედიცინო მომსახურების მოცულობას, ამ პროგრამ(ებ)ის/კომპონენტ(ებ)ის დამატებით პირობებს, ვაკმაყოფილებთ ასეთი საქმიანობისათვის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და ვიღებთ პასუხისმგებლობას, როგორც მიმწოდებელი, მონიშნული პროგრამ(ებ)ით/კომპონენტ(ებ)ით ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებაზე.

1.	ფსიქიკური ჯანმრთელობა		
1.1	ბავშვთა და მოზრდილთა ფსიქიატრიული სტაციონარული მომსახურება	☐ დიახ	☐ არა
1.2	პაციენტთა გადაუდებელი სამედიცინო მომსახურება	☐ დიახ	☐ არა
1.3	ალკოჰოლის მიღებით გამოწვეული ფსიქიკური და ქცევითი აშლილობების სტაციონარული მომსახურება	☐ დიახ	☐ არა
2.	დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა		
2.1.	ანტენატალური მეთვალყურეობა	☐ დიახ	☐ არა
2.2	მაღალი რისკის ორსულთა, მშობიარეთა და მელოგინეთა მკურნალობა	☐ დიახ	☐ არა
2.3	გენეტიკური პათოლოგიების ადრეული გამოვლენა	☐ დიახ	☐ არა
3	დიაბეტის მართვა		
3.1	დიაბეტით დაავადებულ ბავშვთა მომსახურება	☐ დიახ	☐ არა
3.2	სპეციალიზებული ამბულატორიული დახმარება	☐ დიახ	☐ არა
3.3	დიაბეტით დაავადებულ პირთათვის ამბულატორიულ დონეზე, სამედიცინო საჭიროებიდან გამომდინარე, სამედიცინო ცნობებისა და რეცეპტების გაცემა	☐ დიახ	☐ არა
4	ნარკომანია		
4.1	სტაციონარული დეტოქსიკაცია და პირველადი რეაბილიტაცია;	☐ დიახ	☐ არა
4.2	ჩანაცვლებითი თერაპიის განხორციელება და ჩამანაცვლებელი ნარკოტიკის მიწოდების უზრუნველყოფა ქ. თბილისისა და რეგიონებში (კახეთი, იმერეთი, გურია, სამეგრელო-ზემო სვანეთი)	☐ დიახ	☐ არა
5.	დიალიზი და თირკმლის ტრანსპლანტაცია		
5.1	ჰემოდიალიზით უზრუნველყოფა	☐ დიახ	☐ არა
5.2	პერიტონეული დიალიზით უზრუნველყოფა	☐ დიახ	☐ არა
5.3	თირკმლის ტრანსპლანტაცია	☐ დიახ	☐ არა
6.	ინკურაბელურ პაციენტთა პალიატიური მზრუნველობა		
6.1.	ინკურაბელურ პაციენტთა ამბულატორიული პალიატიური მზრუნველობა,	☐ დიახ	☐ არა
6.2.	ინკურაბელურ პაციენტთა სტაციონარულ პალიატიურ მოვლა და სიმპტომური მკურნალობა	☐ დიახ	☐ არა
6.3	ინკურაბელური პაციენტებისათვის ამბულატორიულ დონეზე, სამედიცინო საჭიროებიდან გამომდინარე, სამედიცინო ცნობებისა და რეცეპტების გაცემა	☐ დიახ	☐ არა
7.	იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობა		
7.1	იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ 18 წლამდე ასაკის ბავშვთა სტაციონარული მომსახურება	☐ დიახ	☐ არა
8.	სასწრაფო გადაუდებელი დახმარება და სამედიცინო ტრანსპორტირება		
8.1	რეფერალური დახმარება	☐ დიახ	☐ არა
9.	ტუბერკულოზის მართვა		
9.1	სტაციონარული მომსახურების	☐ დიახ	☐ არა
9.2	ამბულატორიული მომსახურების (პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში ტუბსაწინააღმდეგო ამბულატორიული მომსახურებების გარდა)	☐ დიახ	☐ არა
10	აივ-ინფექცია / შიდსი		
10.1	აივ-ინფექცია/შიდსით დაავადებულთა უზრუნველყოფა ამბულატორიული მომსახურებით	☐ დიახ	☐ არა
10.2	აივ-ინფექცია/შიდსით დაავადებულთა უზრუნველყოფა სტაციონარული მომსახურებით	☐ დიახ	☐ არა
11	იმუნოზაცია		
11.1	ანტირაბიული სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფა	☐ დიახ	☐ არა
12	ინფექციური დაავადების მართვა		
		☐ დიახ	☐ არა

ხელმოწერა

ბეჭედი

შენიშვნა:
“✓” ნიშნით მიეთითება ჯანმრთელობის დაცვის პროგრამაში (კომპონენტში) მიმწოდებლად რეგისტრაციაზე თანხმობა ან უარი. შესაბამისი პასუხი უნდა მიეთითოს ყველა პროგრამის (კომპონენტის) გასწვრივ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სხვა პროგრამ(ებ)ში/კომპონენტ(ებ)ში უკვე რეგისტრირებული მიმწოდებელი განაცხადს ავსებს დამატებით, სხვა პროგრამ(ებ)ში/კომპონენტ(ებ)ში მონაწილეობის მიზნით. არასრულად, შეცდომებით ან/და დაკორექტირებული (გადახაზული) მონაცემებით შევსებული ფორმა არ მიიღება.

ინფორაცია შესაბამისი სამედიცინო საქმიანობის ლიცენზიის/ნებართვის შესახებ

(ივსება შესაბამისი საქმიანობის ლიცენზიის/ნებართვის საჭიროების, აგრეთვე, იმ პროგრამებში მონაწილეობის შემთხვევაში, რომელთა მომსახურების მოცულობა და დამატებითი პირობები ითვალსწინებს საქმიანობებს, როდესაც სავალდებულოა დამატებითი სანებართვო პირობების დაკმაყოფილება ან მაღალი რისკის შემცველი საქმიანობების შესახებ სავალდებულო შეტყობინებათა რეესტრში რეგისტრაცია)

N	ლიცენციის (ნებართვის) დასახელება	ლიცენზიის (ნებართვის) ნომერი
1		
2		
3		
4		
5		
6		
7		
8		
9		
10		
11		
12		
13		
14		
15		
16		
17		
18		
19		
20		

.....

ხელმოწერა

